თამარ ბურჯანაძე

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე

დაიბადა 1973 წლის 30 ნოემბერს, ქ. ზესტაფონში;

1991 წელს დაამთავრა ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის საშუალო სკოლა;

1998 წელს დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი;

ჩაბარებული აქვს მოსამართლის თანაშემწის გამოცდა, გავლილი აქვს ადვოკატურის საერთო ტესტირება;

2007 წელს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით;

2007-2009 წლებში სწავლობდა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს სკოლაში;

1999 წლის 10 სექტემბრიდან იმავე წლის 18 ოქტომბრამდე მუშაობდა ქ. თბილისის საოლქო სასამართლოში სხდომის მდივნად;

1999-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში სხვადასხვა თანამდებობებზე: საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილის თანაშემწე. მოსამართლის თანაშემწე, მოსამართლის აპარატის უფროსი, სამართლებრივი უზრუნველყოფის და კვლევების დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი, სამართლებრივი უზრუნველყოფის და კვლევების დეპარტამენტის უფროსი მრჩეველი;

2009-2010 წლებში იყო ბაღდათის რაიონული სასამართლოს მოსამართლე და უფლებამოსილებას ახორციელებდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში;

2010-2012 წლებში იყო გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს მოსამართლე და უფლებამოსილებას ახორციელებდა ქუთაისის საქალაქო სასამართლოში;

2012-2013 წლებში იყო ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე;

2013- 2016 წლებში იყო ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე.

2016 წლის 25 ივლისიდან გამწესდა მოსამართლედ თბილისის საქალაქო სასამართლოში.

ჰყავს მეუღლე.